დამტკიცებულია
შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის
დირექტორის 2023 წლის 30 ივნისის ბრძანება N 00006378

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

ეთიკის კოდექსი

მარნეული

2023

თავი 1. ზოგადი დებულება

1.1 შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი კერძო სამართლის იურიდიული პირია, რომლის ფუნქციაა განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები.

1.2 ჰუმანიზმის, ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპზე დამყარებული კოლეჯის კარი ღიაა ყველასათვის განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობისა.

1.3 ეთიკის კოდექსი (შემდგომში - კოდექსი) განკუთვნილია პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების, ადმინისტრაციული პერსონალის (შემდგომში - პერსონალი) პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის.

1.4 ეთიკის კოდექსი საგანმანათლებლო ღირებულებების, კანონმდებლობის შესაბამისად, ადგენს კოლეჯში დასაქმებულის, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების ქცევის ზოგად ნორმებს, მათ შორის წამოჭრილი ეთიკური პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს.

1.5 კოლეჯის პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ ეთიკის ამ კოდექსით განსაზღვრული წესების დარღვევა იწვევს დისციპლინარულ გადაცდომას;

1.6 კოლეჯის პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი კოლეჯთან თანამშრომლობისას ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე კოდექსს და დაიცვას კოდექსით გათვალისწინებული წესები.

1.7 წინამდებარე კოდექსი მოქმედებს კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივ რეგულაციებთან ერთად და განახლებადია.

1.8 კოლეჯის თითოეული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი რეგულაციებით მისთვის მინიჭებული უფლებებით.

1.9 ეთიკის კოდექსი ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის, განთავსებულია კოლეჯში თვალსაჩინო ადგილზე, ასევე კოლეჯის ვებ-გვერდზე;

1.10 პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი, პერსონალი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:

1.10.1. გაუფრთხილდეს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს, გამოიყენოს ის დანიშნულებისამებრ და დაიცვას უსაფრთხოების ზომები;

1.10.2. არ მოახდინოს ალკოჰოლური სასმელის, თამბაქოსა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული სხვა ნივთიერებების რეალიზაცია, რეკლამირება/პროპაგანდა ან/და მოხმარება კოლეჯის შენობა-ნაგებობასა და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე. თამბაქოს მოხმარება დასაშვებია შინაგანაწესის შესაბამისად კოლეჯის დირექტორის მიერ განსაზღვრულ სპეციალურ ადგილას;

1.10.3. არ გადაადგილდეს კოლეჯის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან/და ფსიქოტროპული თრობის მდგომარეობაში.

1.10.4. არ ატაროს და არ გამოიყენოს სანადირო, სპორტული, ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერება, ასაფეთქებელი მოწყობილობა და ცივი იარაღი კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე;

1.10.5. არ ითამაშოს აზარტული თამაშები კოლეჯის ტერიტორიაზე;

1.10.6. არ განახორციელოს პოლიტიკური აგიტაცია კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე;

თავი 2. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი

2.1. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი ვალდებულია:

2.1.1. პროფესიული ვალდებულების შესრულებისას იყოს დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი.

2.1.2. პროფესიული საქმიანობა განახორციელოს ეთიკის ნორმების სრული დაცვით.

2.1.3. დაიცვას სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაციის კონფედენციალურობა.

2.1.4. იყოს პუნქტუალური, მოწესრიგებული, სათანადოდ მომზადებული და ორგანიზებული.

2.1.5. მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენოს სწავლებისათვის განკუთვნილი დრო პროფესიული საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად.

2.1.6. კომპეტენტურად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები და მუდმივად იზრუნოს თვითგანვითარებაზე.

2.1.7. დაიცვას ინტელექტუალური საკუთრება, მათ შორის გამოგონებები და საავტორო უფლებები.

2.1.8. პატივი სცეს სხვების განსხვავებულ შეხედულებებს და მრწამსს.

2.1.9. პატივი სცეს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა აზრს, შეუქმნას მათ ყველანაირი პირობა თავიანთი იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოხატვისათვის.

2.1.10. არ მიაყენოს პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს რაიმე სახის შეურაცხყოფა, შეინარჩუნოს სიმშვიდე კონფლიქტურ სიტუაციებში.

2.1.11. გაითვალისწინოს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა აზრი და მიიღოს ობიექტური, სამართლიანი გადაწყვეტილებები.

2.1.12. პატივი სცეს კოლეგებს, სამართლიანად და ობიექტურად შეაფასოს მათი საქმიანობა.

2.1.13. არ გააკეთოს უხეში და მიუღებელი კომენტარები კოლეგის სწავლების მეთოდებზე, დაუშვებელია კოლეგის პიროვნული დამცირება, ცილისწამება, შეურაცხყოფა ან ანონიმურად დადანაშაულება.

მუხლი 3. ადმინისტრაციული პერსონალი

3.1. ადმინისტრაციული პერსონალი ვალდებულია:

3.1.1. კოლეჯში შექმნას სასწავლო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი გარემო.

3.1.2. პატივი სცეს კოლეჯს და მის ტრადიციებს, თანამშრომლებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს/პროგრამის განმახორციელებელებს, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს. სამართლიანად და პატივისცემით მოეპყრონ მათ.

3.1.3.შეიმუშაოს და განახორციელოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც გამორიცხავს თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დისკრიმინაციას სქესისა და ასაკის, რასობრივი, ეთნიკური, პოლიტიკური, რელიგიური კუთვნილების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.

3.1.4. ხელი შეუწყოს საზოგადოებაში კოლეჯის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას.

3.1.5. კოლეჯის მიზნებიდან გამომდინარე, ეფექტიანად გამოიყენოს კოლეჯის ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები.

3.1.6. არ გაამჟღავნოს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

3.1.7. დაემორჩილოს კოლეჯის მიერ დადგენილ წესებს, პროცედურებსა და საქართველოს მომქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი

4.1. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:

4.1.1. შეასრულოს კოლეჯთან დადებული სასწავლო ხელშეკრულების პირობები;

4.1.2.დაიცვას წინამდებარე ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი რეგულაციებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

4.1.3. შეასრულოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით დადგენილი მოთხოვნები;

4.1.4.პატივი სცეს კოლეჯში დასაქმებულ პირთა და სხვა პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს;

4.1.5.გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსი, გამოიყენოს ის დანიშნულებისამებრ;

4.1.6.დაიცვას საავტორო უფლებები და არ დაუშვას პლაგიატი;

4.1.7.მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში;

4.1.8. არ გამოიყენოს მობილური ტელეფონი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას (აუდიტორიებში, სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიებში);

4.1.9.ხელი არ შეუშალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას.

4.1.10. არ სცადოს შეფასების მიღება პროფესიული განათლების მასწავლებელზე/პროგრამის განმახორციელებელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებებით;

4.1.11.წერილობით გაასაჩივროს პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის, პერსონალის ან სხვა პროფესიული სტუდენტის/მსმენლის არამართლზომიერი ქმედება მის მიმართ; პროფესიული სტუდენტის/მსმენლის ზემოაღნიშნული საჩივარი წარედგინება კოლეჯის დირექტორს;

4.1.12. სასამართლოში გაასაჩივროს კოლეჯის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

მუხლი 5. დისციპლინური პასუხისმგებლობა

5.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის, პერსონალისა და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევისათვის დაწესებულია კოლეჯის შინაგანაწესითა და საქართველოს მომქმედი კანონმდებლობით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდება კოდექსი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით;

6.2. წინმდებარე კოდექსის გაცნობა ხორცილდება ინდივიდუალურად კოლეჯის ყველა თანამშრომლისათვის, პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის მათ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გადაგზავნით, რაც დასტურდება მათი პირადი ხელმოწერით.

6.3. წინამდებარე კოდექსის გაუქმება, მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რომელიც დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება კოლეჯის ვებ გვერდზე და გადაეგზავნება ელექტრონულ ფოსტაზე ყველა თანამშრომელს, პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს. აღნიშნული ცვლილებები არ უნდა ლახავდეს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის და თანამშრომელთა უფლებებს.

6.4. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის, პერსონალის, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მოვალეობები და ქცევის ზოგადი წესები განისაზღვრება წინამდებარე კოდექსით, კოლეჯის შინაგანაწესით, შიდა სამართლებრივი რეგულაციებით და საქართველოს მომქმედი კანონმდებლობით;